სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 სექტემბერი 2026

N 638/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, შპს „იბერია ელექტროსერვისის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) აღდგენის ან/და დროებითი დასაწყობების ობიექტის ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. რუსთავში, შპს „იბერია ელექტროსერვისის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) აღდგენის ან/და დროებითი დასაწყობების ობიექტის ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N22;
2. შპს „იბერია ელექტროსერვისი“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N22 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იბერია ელექტროსერვისს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იბერია ელექტროსერვისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/638-21-4-202609081514

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE